ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია

აფხაზეთის ისტორიის საკითხები

1636-1640 წლების ქართულ-რუსულ დიპლომატიურ ურთიერთობათა მასალებში

აფხაზეთი - საქართველოს ისტორიული პროვინციაა, რომელიც დღეს ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჯერ კიდევ ოკუპაციამდე, ასევე ოკუპაციის შემდეგ აფხაზ და ქართველ ისტორიკოსებს შორის მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს საკმაოდ მწვავე ისტორიოგრაფიული ომი. აფხაზური სეპარატიზმის, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის, გენოციდის იდეოლოგიურ საფუძველს სწორედ გაყალბებული ისტორიოგრაფია წარმოადგენდა. ისტორიის გაყალბებასა და ქართველთა მიმართ გენოციდის ჩატარებაში სეპარატისტებს დღემდე ზურგს უმაგრებს კრემლი თავისი სამხედრო და სამეცნიერო პოტენციალით. ოპონენტების მხრიდან იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის ისტორიის დამახინჯებას, რომ მასში, გარდა მეცნიერებისა, ჩართული არიან რუსეთის ფედერაციის უმაღლესი თანამდებობის პირებიც კი თვით პრეზიდენტის ჩათვლით. გაყალბებული ისტორიოგრაფია რუსეთისთვის იქცა ერთგვარ იარაღად თითქმის ყველა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ეს ეხება რუსეთის ფართომასშტაბიან ომსაც უკრაინის წინააღმდეგ, ეხება ე. წ. ეთნოკონფლიქტებს სამხრეთ კავკასიაში - აზერბაიჯანსა და საქართველოში. აფხაზეთთან მიმართებაში ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ეს ტერიტორია არასოდეს წარმოადგენდა საქართველოს ნაწილს; რომ ქართველებს XIX-XX საუკუნეებამდე აქ არ უცხოვრიათ და ა. შ. ქართველი მეცნიერები იძულებული ვართ ჩავერთოთ მათთან დისკუსიაში[1].

მოხსენებაში შევეხებით აღნიშნული პრობლემის პატარა ფრაგმენტს, რომელიც საერთო სურათის დანახვაშიც რამდენადმე დაგვეხმარება. ჩვენი მიზანია კონფერენციის მონაწილეთა წინაშე წარმოვადგინოთ 1636-1640 წლებში საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს - სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთს შორის განხორციელებულ ელჩობათა მასალები როგორც აფხაზეთის ისტორიის ერთ-ერთი წყარო. სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) 1636 წელს მოსკოვში ელჩად მიავლინა მღვდელი გაბრიელ გეგენავა. ელჩობა სამი წელი გაგრძელდა. გაბრიელ გეგენავა ორჯერ შეხვდა რუსეთის ხელმწიფეს მიხეილ თევდორეს ძეს (1613-1645), ასევე სხვა სახელმწიფო მოხელეებს, სასულიერო პირებს. ხელმწიფესთან პირველ შეხვედრაზე, 1638 წლის 12 დეკემბერს, მან მიხეილ თევდორეს ძეს გადასცა სიგელი - წერილი ლევან მეორე დადიანისაგან. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სამეგრელოს მთავარს, როგორც კახეთის მეფის - ალექსანდრე მეორის (1575-1605) შვილიშვილს, ჰქონდა სრულიად საქართველოს მეფის ამბიცია. იგი ცდილობდა რუსეთის ხელმწიფის წინაშე ივერიის ანუ საქართველოს ყველა რეგიონის სახელით

[1] აფხაზეთი საქართველოა. თბილისი, 2021 - ზურაბ პაპასქირი. შესავალი, გვ.7-26; Why Abkhazia is Georgia. Tbilisi, 2021 – Zurab Papaskiri. Foreword, p. 5-16.

წარმდგარიყო. სინამდვილეში, ლევან მეორე იყო „ივერიის ქვეყნის“ მხოლოდ ერთი რეგიონის მმართველი, თუმცა მისი ჰეგემონია მთელს დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა აფხაზეთის პატარა საერისთავოს ჩათვლით. 1639 წლის 30 მაისს შედგენილ საპასუხო სიგელშიც რუსეთის ხელმწიფე ლევან მეორეს ივერიის ქვეყნის წარმომადგენლად მოიხსენიებს[2].

გაბრიელ გეგენავა საქართველოში 1639 წლის ნოემბერში დაბრუნდა. მასთან ერთად სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ რუსი ელჩები - თურქული ენის თარჯიმანი ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი. საქართველოში გამომგზავრების წინ ფ. ელჩინს მიეცა განაწესი (наказ), სადაც დაწვრილებით არის გაწერილი თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ის სხვადასხვა სიტუაციაში, განსაკუთრებით ლევან მეორე დადიანთან შეხვედრაზე, როგორი პასუხი უნდა გაეცა მთავრის სავარაუდო შეკითხვებზე და ა. შ. განაწესში ვკითხულობთ: თუკი დადიანი იკითხავს, როგორ დამოკიდებულებაშია რუსეთის ხელმწიფე თურქეთის სულთანთან, ან ყირიმის მეფესთან (ხანთან), ფედოტ ელჩინს უნდა ეპასუხა, რომ რუსეთის ყველა ხელმწიფეს და დიდ მთავარს ჰქონდა ურთიერთობა თურქეთის სულთნებთან; როცა რუსეთში ხელმწიფე ტახტზე ადიოდა, თავისი გახელმწიფების შესახებ ის თურქეთის სულთანს აცნობებდა და, პირიქით, როდესაც თურქეთში ახალი სულთანი დადგინდებოდა, ის ამის თაობაზე რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა; ფედოტ ელჩინს უნდა ეთქვა ასევე, რომ რუსეთის ამჟამინდელ ხელმწიფეს - მიხეილ თევდორეს ძესა და თურქეთის სულთან მურადს (იგულისხმება სულთანი 1623-1640 წლებში მურად მეოთხე) შორის ელჩები და დესპანები დადიან მშვიდობისა და თანხმობის დასამყარებლად; ორივე ქვეყნის ვაჭრები ორივე მხარეს ელჩებად დადიან. ასევე გვაქვსო ურთიერთობა ყირიმის ხანთან ბაგადირ გირეისთან, რომელმაც კალგასთან (ვიცე-ხანი-ისლამ გირეი) და ნურადინთან (სასულიერო ლიდერი) ერთად დაიფიცესო, რომ რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და ბოროტების ჩადენა არ სურთო[3]. XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთსა და თურქეთს შორის ნამდვილად იყო მშვიდობა, რასაც ვერ ვიტყვით ყირიმზე, რომელიც ხშირად ესხმოდა თავს რუსეთს (1633 წელს ტულამდეც მიაღწიეს) და მას ხარკს ახდევინებდა. 1638 წლის 22 სექტემბერს ბეგადირ გირეიმ მართლაც დადო სამშვიდობო ფიცი რუსეთთან, მაგრამ გაზრდილი ხარკის გადახდის სანაცვლოდ[4].

დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს. რუსეთის საგარეო უწყებიდან (პოსოლსკი პრიკაზ) რუსმა ელჩებმა მიიღეს სამეგრელოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საეკლესიო ცხოვრების შესწავლის, მისი აღწერისა და სათანადო წერილობითი ინფორმაციის წარმოდგენის დავალება. რუსმა ელჩებმა აღნიშნული დავალება ზედმიწევნით შეასრულეს. ორივე ელჩმა ცალ-ცალკე დღიურების ფორმით შეადგინა დეტალური ანგარიშები - ე. წ. მუხლობრივი აღწერილობები. ისინი იწერდნენ ყველაფერს, რაც ნახეს და მოისმინეს სამეგრელოს ფარგლებში ნახევარწლიანი მოგზაურობებისა და სხვადასხვა ოფიციალურ და

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა ჯემალ გამახარიამ. თბილისი, 2014, გვ. 227-228,259-261.

[3]იქვე, გვ.242.

[4] Новосельский А.А. Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII века. М.,-Л., 1948, с.245-282.

არაოფიციალურ პირებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრების დროს. 1640 წელს რუსი ელჩები მოსკოვში დაბრუნდნენ, თავიანთი ანგარიშები კი რუსეთის საგარეო უწყებაში - პოსოლსკი პრიკაზში წარადგინეს.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის დიპლომატიური მისიის ამსახველი მასალები სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად 1861 წელს შემოვიდა მოკლე მიმოხილვის სახით[5]. მათი პირველი მეცნიერული პუბლიკაცია კი 1888 წელს განხორციელდა[6]. შემდგომ წლებში სხვადასხვა კრებულებში გამოქვეყნდა გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ყოფნის ამსახველი მასალები, ასევე ფედოტ ელჩინის მიერ მოსკოვში ჩატანილი ანგარიში[7]. ქართულ-რუსული დიპლომატიური მისიის მასალები გამომცემლებს - ს. ბელოკუროვს, მ. პოლიევკტოვს, დ. ლიხაჩოვს, არაფერი უთქვამთ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალების მნიშვნელობაზე აფხაზეთის ისტორიისათვის. ამ კუთხით არც ქართველი და აფხაზი მეცნიერ-ისტორიკოსები იყენებდნენ აღნიშნულ წყაროს, რასაც თავისი ახსნა აქვს. საქმე იმაშია, რომ აფხაზეთის ისტორიის საკითხები, აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების თემა XIX საუკუნიდან, განსაკუთრებით საუკუნის ბოლოდან იმდენად პოლიტიზირებული იყო, რომ სიმართლის წერას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა. ამის გამო მეცნიერ-ისტორიკოსების დიდი ნაწილი თავს იკავებდა 1636-1640 წლების ქართულ-რუსული ელჩობის მასალების აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებისაგან.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის დიპლომატიური მისიის შედეგად შექმნილი დოკუმენტები 2005 წელს ჩვენს მიერ თბილისში პირველად გამოიცა, როგორც წყარო აფხაზეთის საეკლესიო და ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ[8]. შემდგომში აღნიშნული მასალები ითარგმნა ქართულად და შესაბამისი სამეცნიერო აპარატით კიდევ ერთხელ გამოიცა უკვე რუსულ - ქართულ ენებზე[9].

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რა ინფორმაციას შეიცავენ გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები აფხაზეთის შესახებ. რუსი ელჩები ქართველი სასულიერო პირების თანხლებით, მოგზაურობენ რა სამეგრელოს ფარგლებში, 1640 წლის 2 - 10 თებერვალს იმყოფებიან აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე. 2-3 თებერვალს ისინი არიან დაბა ფუწყურში (თანამედროვე აფხაზეთის გალის რ-ნი). ელჩები წერენ, რომ, გარდა ეკლესიისა, ამ დაბაში

[5] Переписка на иностранных языках, грузинских царей с Российскими государями, от 1659 г. По 1770 г. М. Броссе. С.-Петербург, 1861, с. LIV-LX.

[6] С. А. Белокуров. Материалы для русской истории. М., 1988, с. 259-374.

[7] Материалы по истории грузино-русских взаимотношений. 1615-1640. Посольства Веревкина, Харитона, Феодосия, Никифора, Гегенава и Волконского. Тб., 1937; Путешествия русских послов XVI-XVII веков. Статейные списки. М.,-Л., 1954.

[8] Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию. Для издания подготовил Джемал Гамахария. Тбилиси, 2005.

[9] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. თბ., 2014; Материалы посольств Гавриила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева. Тб., 2014.

სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა და სამთავროს ხაზინაც იქვე ყოფილა განთავსებული. აქ ელჩებმა ხაზინის მცველი ვასილ ბელორუსიც გაიცნეს. სამეგრელოში მყოფ რუს ელჩებს 4-5 თებერვალს ვხედავთ თანამედროვე აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონში - სოფელ ღამბლსა (თანამედროვე ბესლახუბა) და მერკულაში, სადაც მათ ეკლესიები დაათვალიერეს. როგორც ჩანს, რუს ელჩებს მერკულაში არ ანახეს სამეგრელოს მთავრის კიდევ ერთი რეზიდენცია. სხვათა შორის, ეს რეზიდენცია იმითაც არის ცნობილი, რომ სამეგრელოს ახალგაზრდა მთავარმა ლევან II დადიანმა 1615 წელს აქ, მერკულას სასახლეში, ხელი მოაწერა შეთანხმებას ოსმალეთთან, რითაც დარეგულირდა ორმხრივი ურთიერთობები[10].

მერკულადან წამოსული რუსი ელჩები მდინარე მოქვის შესართავთან შავ ზღვაზეც გავიდნენ. პროფესორი მ. პოლიევქტოვი რატომღაც წერდა, რომ ფ. ელჩინმა და პ. ზახარიევმა მოიარეს სამეგრელო მდ. ენგურამდე და შავ ზღვაზეც თითქოს ენგურის შესართავთან გავიდნენ[11]. წყაროში კი, რომელსაც მ. პოლიევქტოვი შესანიშნავად იცნობდა, სულ სხვა წერია - რუსი ელჩები შავ ზღვაზე გავიდნენ მდ. მოქვის შესართავთან, რომელიც დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ეს არ არის უმნიშვნელო ან შეთხვევითი უზუსტობა. ამ ფაქტში ვლინდება კომუნისტური რეჟიმის ოფიციალური პოლიტიკა, რომლის თანახმადაც მეცნიერ-ისტორიკოსებს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი, თუნდაც წყაროთა დამახინჯების ფასად, ევა და ადამის დროიდან აუცილებლად მდინარე ენგურზე უნდა დაეფიქსირებინათ.

მოგზაურობდნენ რა სამეგრელოს ფარგლებში, რუსი ელჩები 6-7 თებერვალს თანამედროვე აფხაზეთის გულრიფშის რაიონში ანუ სოხუმთან ახლოს იმყოფებიან, ათვალიერებენ დრანდის VI-VII საუკუნეების საკათედრო ტაძარს, ღამით კი ფშეხაფში (ფშაფში) დააბინავეს. ფშაფიდან ელჩები უკან ბრუნდებიან და 8-10 თებერვალს ისევ თანამედროვე აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონს სტუმრობენ, ჩადიან სოფელ კვიტოულში, ათვალიერებენ X საუკუნეში - 957-967 წლებს შუა პერიოდში აგებულ მოქვის საკათედრო ტაძარს; ამის შემდეგ მოინახულეს XI საუკუნის ილორის ეკლესია და ბოლოს X საუკუნეში - 999 წლისთვის აშენებული ბედიის საკათედრო ტაძარი დაათვალიერეს. ამ შემთხვევაშიც რუსი ელჩებისთვის არ უნახებიათ სამეგრელოს მთავართა რეზიდენცია, რომელიც მოქვში მდებარეობდა. როგორც რუსი ისტორიკოსი მ. სელეზნიოვი წერს, ის რეზიდენცია თანამედროვე აფხაზთა წინაპრებმა 1678 წელს ტაძართან და ეპისკოპოსის სასახლესთან ერთად გაანადგურეს[12]. აქვე შეგვიძლია ვნახოთ რუსი ელჩების მოქვში ყოფნის ფაქტის, ანუ ისტორიული წყაროს დამახინჯების კიდევ ერთი მაგალითი. აფხაზი ისტორიკოსი ვ. ფაჩულია წერს: „მოქვის ტაძარს შორს გაუთქვამს სახელი. 1640 წლის 8 თებერვალს იგი მოინახულეს სამეგრელოს მთავარ ლევან მეორე დადიანთან მიმავალმა რუსმა ელჩებმა პავლე ზახარიევმა და ფედოტ ელჩინმა“[13]. ჩვენ კი ვნახეთ, რომ რუსი ელჩები მოქვში აღმოჩნდნენ სამეგრელოს ფარგლებში მოგზაურობისას და არა აფხაზეთის გავლით სამეგრელოსკენ მიმავალნი. ისინი საქართველოში არა აფხაზეთიდან, არამედ ყაბარდო - სვანეთის გზით შემოვიდნენ.

---

[10] Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-истрическая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 233-234.
[11] М. Полиевктов.Европейские путешественники XIII- XVIII веков по Кавказу. Тбилиси, 1935, с.37.
[12]М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, т. II. М., 1847, с.162-163.
[13] საბჭოთა აფხაზეთი, 1981, 24 ოქტომბერი.

მოქვის ტაძარში რუსეთის წარმომადგენლები შეხვდნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მაქსიმე I - ს (მაჭუტაძე). როცა გაბრიელ გეგენავა მოსკოვში იმყოფებოდა, რუსებმა მისგან შეიტყვეს, რომ სამეგრელოს ჰყავს კათალიკოსი, რომლის რეზიდენცია და საკათედრო ტაძარი იყო ბიჭვინთაში[14]. ბიჭვინთა კი, მოგეხსენებათ, გაგრასთან, ანუ რუსეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

ქართულ-რუსულ ელჩობათა მასალები წარმოადგენენ პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს, რომელიც ასახავს რუსეთის პოლიტიკას კავკასიის, კონკრეტულად საქართველოს, ნაწილობრივ თურქეთის მიმართაც; შეიცავენ ცნობებს დასავლეთ საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარების, ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ორიგინალურია და სხვაგან არსად გხვდება; გვაწვდიან უტყუარ ინფორმაციას სამეგრელოს სამთავროს მდებარეობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის შესახებ; ვეცნობით ათობით სახელმწიფო მოხელეს, სასულიერო პირს, უბრალო ადამიანებს, მათ ყოფას და ზნე-ჩვეულებებს. ქართველი და რუსი ელჩების ანგარიშების მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი არიან რუსეთის პირველი ოფიციალური პირები, რომლებიც 1640 წელს სახელმწიფო დავალებით იმყოფებოდნენ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია, მაგრამ იმ პერიოდში ეს ტერიტორია ივერიის ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის - სამეგრელოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. რუსი ელჩების ანგარიშებიდან ვიგებთ, რომ სამეგრელოს იმ ნაწილშიც, რომელიც დღეს აფხაზეთს ეკუთვნის, ფუნქციონირებდა მხოლოდ ქართული ეკლესია ქართული სასულიერო პირებით, ქართული ღვთისმსახურებით, ქართული მრევლით. თითქმის სოხუმამდე ჩასულ მოსკოველ ელჩებს არსად შეხვედრიან აფხაზები. ტერმინები „აფხაზი“, აფხაზეთი“ მათთვის საერთოდ უცნობია და, შესაბამისად, არსად არ ახსენებენ. მხოლოდ ერთხელ, 1640 წლის 1 მარტს სამთავროს ხაზინის მცველმა ვასილ ბელორუსმა, რომელიც რუს ელჩებს მეორედ შეხვდა, პ. ზახარიევს უთხრა, რომ ლევან მეორე დადიანის პირველი მეუღლე იყო „აბაზინთა თავადის ქალიშვილი“, რომელსაც ლოგინის სხვა მეგობარი ჰყოლია. ამის გამო ლევანმა მეუღლე სასტიკად დასაჯა და „ობაზებში დააბრუნა“[15]. ხაზინის მცველს მხედველობაში ჰყავდა აფხაზეთის ერთ-ერთი მფლობელის - სეტემან შერვაშიძის ქალიშვილი. საინტერესოა, რატომ უწოდებს მას ვასილ ბელორუსი აბაზინთა და არა აფხაზთა თავადის ქალიშვილს, ხოლო აფხაზეთს - ობაზეთს? როგორც ჩანს, ვასილ ბელორუსმა, ყოფილმა ზაპოროჟიელმა კაზაკმა იცოდა, რომ აფხაზეთში ახლა არა ისტორიული აფხაზები, არამედ აბაზები ცხოვრობენ. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აფხაზეთში დამკვიდრებულ აბაზებს ქართველები იმთავითვე აფხაზებს უწოდებდნენ და ვუწოდებთ დღემდე. თქვენ, თურქები, ასევე არაბები აფხაზებს ნამდვილ სახელს - აბაზებს ეძახით.

ალბათ, საინტერესოა, როგორ მოხვდა ზაპოროჟიელი კაზაკი სამეგრელოში, თანაც ლევან მეორე დადიანის ხაზინის მცველად. ამის დადგენაში რუსი ელჩების ანგარიშები და სხვა წყაროებიც გვეხმარებიან. 1629 წელს შავ ზღვაზე თურქთაგან დევნილ კაზაკებს თავი სამეგრელოსთვის შეუფარებიათ, მაგრამ ლევან მეორის დახმარებით მათი დიდი ნაწილი თურქებს

[14]გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, გვ. 225, 232.
[15] იქვე, გვ.335.

გაუნადგურებიათ, ნაწილი ტყვედ წაუყვანიათ. გადარჩენილებს შორის ერთ-ერთი - ვასილ ბელორუსი - ლევან მეორეს და მის მეუღლეს მოსწონებიათ და მთავრის კარზე სამსახურიც შეუთავაზებიათ. როდესაც ლევან დადიანი იხილავდა საკითხს, რომელ ქვეყანაში გაეგზავნა ელჩი - ლიტვაში თუ რუსეთში, გადაწყვეტილება რუსეთის სასარგებლოდ სწორედ ვასილ ბელორუსის რჩევით მიუღია[16].

ქართველი და რუსი ელჩების მასალები შეიცავენ ინფორმაციას სამეგრელოს საზღვრების შესახებ, რასაც ასევე აქვს უშუალო კავშირი აფხაზეთის ისტორიასთან. გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ყოფნის დროს სამეგრელოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად რუსებმა დაკითხეს იმჟამად მოსკოვში ჩასული ელჩი აღმოსავლეთ საქართველოდან, სახელად ნიკიფორე. აი, რა თქვა ნიკიფორემ: „სადადიანოს სამფლობელო თბილ ქვეყანაში, აღმოსავლეთსა და სამხრეთს შუა მდებარეობს; ერთი მხრიდან შავი ზღვა ესაზღვრება, მეორე მხრიდან - თურქეთის მეფის ქვეყანა, მესამე მხრიდან - ყიზილბაშთა შაჰის ქვეყანა, ხოლო მეოთხე მხრიდან - მთიული ჩერქეზეთი“[17]. მეოთხე მხრიდან სამეგრელოს მოსაზღვრედ ნიკიფორე ასახელებს არა აფხაზეთს, არამედ - „მთიულ ჩერქეზეთს“. XVII საუკუნის შუა ხანებში აფხაზეთის საერისთავო მოსაზღვრე რეგიონად იმიტომ არ სახელდება, რომ იგი ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული და სამეგრელოს სამთავროს დაქვემდებარებაში იგულისხმებოდა. ამის დამადასტურებელი უამრავი ქართული და უცხოური წერილობითი თუ კარტოგრაფიული წყარო არსებობს. ჩვენს წინაშეა ვენეციელი კარტოგრაფის ბატისტა აგნეზის 1542 წლის და პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომემის 1559 წლის რუკების ფრაგმენტები. როგორც ვხედავთ, მათზე აფხაზეთი საერთოდ არ არის აღნიშნული, იგულისხმება რა სამეგრელოს შემადგენლობაში.

[16]იქვე, გვ.326-327.
[17]იქვე, გვ.220.



ვენეციელი კარტოგრაფი ბატისტა აგნეზი 1542 წ.

დიეგო ომემის (პორტუგალიელი კარტოგრაფი) შავი ზღვის რუკა 1559 წ.

საზღვრების თემას ფედოტ ელჩინიც ეხება. ის აღნიშნავს, რომ სადადიანოს ქვეყანა ზღვის სანაპიროს გასწვრივ 150 ვერსზეა გადაჭიმული[18]. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი სამეგრელოს რეგიონის ზღვისპირა ზოლი დაახლოებით 40 კილომეტრამდეა, დავრწმუნდებით, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოს სამთავრო აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის უმეტეს ნაწილს მოიცავდა. XVI საუკუნის პირველი მეოთხედის თურქული სამთავრობო დოკუმენტის მიხედვით, სადაც საქართველოსკენ მიმავალი გზები და საქართველოს რეგიონებია აღწერილი, ვკითხულობთ, რომ გურიის „იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა... იმის (სოხუმის) იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები. მთების უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა“[19]. დამატებით სხვა წყაროებსაც თუ მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ საქართველოს ორ პროვინციას - აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ადმინისტრაციული და იმჟამად უკვე ეთნიკური საზღვარიც რუსი ელჩების იქ ყოფნის პერიოდში თანამედროვე სოხუმის გარეუბანთან - მდინარე კელასურთან გადიოდა, სადაც კედელი იყო აღმართული. შეგვიძლია ეს საზღვარი ვიხილოთ სამეგრელოში XVII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე იტალიელი მისიონერების არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტოფორე დე კასტელის რუკებზე (1654 წ.).

[18]იქვე, გვ.309.

[19]თურქული წყაროები XVI საუკუნის პირველი მეოთხედისსამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები...გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბილისი, 1983, გვ.57.


TOTIVS COLCHIDIS HODIE MENGRELIÆ AC CORACE AMNE AD PHASIM VSQVE DESCRIPTIO.
Abkarchi hodie Abkasia
CAVCASVS
ALANI
CAVCASVS
SCYTHIA
SCYTHIA
POKIVS EVXINVS



54

კარგად ჩანს აღნიშნულ რუკებზე დატანებული საზღვარი ლათინური წარწერით: **„კედელი 60 ათასი ნაბიჯის (სიგრძისა) აბაზგთა თავდასხმების შესაკავებლად“.** მრავალრიცხოვან წყაროთა, მათ შორის რუკების ავტორთა ცნობით, კედელი აგებულია ლევან მეორე დადიანის მთავრობის პერიოდში.

აქვე მოვიტანთ კავკასიის თურქული რუკის ფრაგმენტს.



იგი ჩართულია თურქი მეცნიერისა და მწერლის ქათიბ ჩელების წიგნში „ჯიჰან - ნუმა“, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან (დაახლოებით 1650 წელი) საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ - 1732 წელს სტამბულში გამოიცა. რუკა უცნობი ავტორის მიერ შედგენილი უნდა იყოს XVII საუკუნის 60-70-იან წლებში. რუკაზე ზუსტად არის მითითებული ზემოაღნიშნული კედელი, როგორც საზღვარი „აბაზასა“ და „მეგრილს“ შორის. რადგანაც ქათიბ ჩელები ვახსენეთ, იმასაც ვიტყვით, რომ იგი აბაზებს ებრაული წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა, რომელიც ჩამოსახლდა ყარა-აჟდახანიდან (ასტრახანიდან), სადაც იუდაიზმის მიმდევარი ხაზარები ცხოვრობდნენ[20].

თქვენს წინაშეა ცნობილი ფლამანდიელი კარტოგრაფის გერჰარდ მერკატორის (1512 – 1594) მიერ შედგენილი ოსმალეთის იმპერიის რუკა, რომელიც XVI – XVII საუკუნეების მიჯნაზეა გამოცემული. რუკიდან ჩანს, რომ ქალაქი, სოხუმი და თითქმის მთელი თანამედროვე აფხაზეთი სამეგრელოს შემადგენლობაშია. ცალკე აფხაზეთი არც არის მითითებული. იგივე სურათს ვხედავთ ოსმალეთის იმპერიის XVII საუკუნის მეორე რუკაზეც. აქაც ვხედავთ, რომ სამეგრელო ბიჭვინთამდე და გაგრამდე ვრცელდება, აფხაზეთი კი მითითებული არ არის, რადგანაც სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება.

[20] ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა გიული ალასანიამ. თბილისი, 1973, გვ. 132, 133.

TVRCICVM
IMPERIVM
TARTARIA PARS
PERSIA
ARABIA
AFRICÆ
PARS

SEPTENTRIO
Ducis Moscoviæ sive Magnæ
Russiæ confinia
TARTARIAE PARS
PONTUS EUXINUS
Georgia
MARE MEDITERRANEUM
TERRA SANCTA
PERSICI REGNI PARS
ARABIA DESERTA
AFRICAE PARS
TURCICI IMPERII IMAGO.
Bello
DAFILA
Tigremaon Reg
ARABIA FELIX
Adeni Regis
ORIENS
OCCIDENS
MERIDIES
gettyimages
Historical Picture Archive

მოტანილი რუკები გახლავთ დამატებითი მტკიცებულება იმისა, რომ ქართველი და რუსი ელჩების ცნობები ისტორიულ რეალობას ასახავენ. ისინი ადასტურებენ, რომ XVII საუკუნის შუახანებში ტერიტორია მდინარე ენგურსა და სოხუმს შორის საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის - სამეგრელოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა ქართული მოსახლეობით, ქართული ეკლესიითა და კულტურით. უშუალოდ სოხუმში და მის ჩრდილო დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე რუსი ელჩები არ ყოფილან, მაგრამ განხილული მასალებიდან უკვე ვნახეთ, რომ სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს პატრიარქი ბიჭვინთაში იჯდა. ეს ფაქტი და სხვა მრავალი ისტორიული წყაროს, მათ შორის მოტანილი რუკების მიხედვით, მაშინდელი აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ კიდევ ერთ არაქართულ წყაროს, კერძოდ, ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707) მოსაზრებას, რომელიც სამჯერ - 1658, 1660 და 1677 წლებში არის ნამყოფი საქართველოში, მათ შორის აფხაზეთშიც და კარგად იცნობდა მის ისტორიას. იგი წერდა: „ვინაიდან ქვემო იბერიის (დასავლეთ საქართველოს-ჯ.გ.) მეფეები განაგებენ აფხაზეთს, აქ დიდხანს შემორჩა ქრისტიანული სარწმუნოება... ლევან დადიანმა, რომელიც იქ (აფხაზეთში-ჯ.გ.) დიდხანს მეფობდა, 1600 წლის შემდეგ 40 000 აფხაზი მონათლა, დაურიგა იმდენივე სპარსული ზედა სამოსი და მისცა მათ ეპისკოპოსი“[21]. სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის საერისთავო XVII საუკუნეში პოლიტიკურად, ადმინისტრაციულად და ეკლესიურად ივერიის ნაწილად რჩებოდა.

პატრიარქ დოსითეოსის აქ მოტანილი სიტყვები სულ სხვა კითხვასაც აღძრავენ - XVII საუკუნის დასაწყისში რატომ გახდა ხელახლა მოსანათლი ჯერ კიდევ პირველ და VI საუკუნეებში მონათლული რეგიონი, რომელიც მოფენილია უძველესი ქრისტიანული ტაძრებით; სადაც განლაგებულია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი - ბიჭვინთა? ეს კითხვა გამოხატავს აფხაზეთის გარშემო მიმდინარე ისტორიოგრაფიული დაპირისპირების მთელს არსს. მასზე პასუხი კი დაპირისპირებულ მხარეებს სხვადასხვანაირად გვესმის. აფხაზური და რუსული მხარეები ამტკიცებენ, რომ XVII საუკუნის აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემა თურქების მიერ მაჰმადიანობის გავრცელებას უკავშირდება[22]. არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა არავინ უარყოფს XVII საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თურქეთის იმპერიის გავლენის ქვეშ ყოფნას, რაც მოტანილი რუკებიდანაც კარგად ჩანდა. ამ შემთხვევაში მოვიშველიებ თურქ მოგზაურს და მეცნიერს ევლია ჩელების (1611-1683). მან 1635 წელს, სხვა მონაცემებით 1641 წელს შავიზღვისპირეთში იმოგზაურა. პირველი აფხაზური ტომი თანამედროვე გუდაუთაში ნახა, თანაც ამ ტომის ხალხი ერთმანეთში მეგრულადაც საუბრობდა და სარწმუნოებაც სხვადასხვანაირი ჰქონდათ. სუფთა აბაზები მან მხოლოდ თანამედროვე გაგრასთან იხილა. თურქმა მოგზაურმა სადღაც

[21] Селезнев М. Руководство к познанию Кавказа, т. I. М., 1847, с.28.

[22]Мурзакевич Н. Древнейший Пицундский храм на восточном берегу Черного моря. Одесса, 1877, с.19-21; Аджинджал Е. К. Из истории христианства в Абхазии. Сухуми, 2000, с. 118-119.

ყუბანთან ახლოს ნახა ერთადერთი მეჩეთი. ევლია ჩელები წერს, რომ აბაზები მაჰმადიანობის მიღების შემთხვევაში მორწმუნენი და ერთი ღმერთის მიმდევარი იქნებიან[23]. ამრიგად, აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემა არ ყოფილა თურქეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული. მაშინ რა არის მიზეზი?

დასმულ კითხვაზე პასუხი სცილდება ჩვენი მოხსენების ფარგლებს, მაგრამ მოკლედ მაინც მოგახსენებთ რუს და სხვა ავტორთა მოსაზრებებს, რომლებსაც ჩვენც ვიზიარებთ. შეგნებულად მივმართავთ პირველი რუსი პროფესიონალი ისტორიკოსის ვ. ნ. ტატიშჩევის (1686 – 1750) შრომებს, რომლებსაც რუსულ ისტორიოგრაფიაში წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. იგი წერდა, რომ აფხაზეთი არის ჩრდილოეთ სამეგრელო, რომელიც ამჟამად ყუბანელებითაა დასახლებული («Паче же мню, часть Мингрелии северная... Ныне оной большую часть кубанцы наполняют»). ეს მოსაზრება ასახული რუსეთის იმპერიის 1793 წლის რუკაზე, სადაც აფხაზეთი სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება.

[23]Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, с. 246-248, 624-629.


Историческая Карта
Россійской Имперіи
1793
Сентября 2 дня.
Каспійское Море
Бѣлое Море
Ледовитое Море
Большая Китайская Стена
Часть Китайск
Сибирь
Иркутскъ
Астрахань
Тобольскъ
Нижнія Карагалпаки
Киргизъ Кайсатская Орда
Средняя Орда
Степь Кочующихъ
Бѣлый Ханъ
Бѣлый Ханъ
Бѣлый Хан

იმ რუკებზე კი, სადაც აფხაზეთი ცალკეა აღნიშნული, ევროპელი კარტოგრაფები, როგორც წესი, მას საქართველოს ფარგლებში ათავსებენ. მაგალითისთვის მოვიტანთ ისევ და ისევ რუსეთის იმპერიის რუკას, რომელიც ჰოლანდიელი კარტოგრაფების მიერ იმპერატორ პეტრე პირველის საპატივცემულოდ 1721-1725 წლებს შუა პერიოდში არის შედგენილი. რუკაზე რუსეთის მეზობელი ერთიანი საქართველოც და მის შემადგენლობაში შემავალი რეგიონები არის გამოსახული თავის ისტორიულ საზღვრებში. აფხაზეთი (Bassa) საქართველოს ერთ-ერთ რეგიონად არის წარმოდგენილი და უკავია სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები მდინარე ყუბანამდე.

RUSSORUM IMPERATORI
PETRO ALEXEWITZ
NOVA ZEM
MARE CASPICUM
SWARTE ZEE
MEDITERRANEUM
IMPERIUM
PERSIA
Nova Tabula

სწორედ ყუბანელების ჩამოსახლებას ჩრდილოეთ სამეგრელოში, როგორც ამის შესახებ წერს ვ. ნ. ტატიშჩევი, მოჰყვა ქრისტიანობის დაცემაც და დემოგრაფიული ცვლილებებიც. პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი დიუბუა დე მონპერე კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთში მოგზაურობის (1833 წ.) შესახებ 1843 წელს გამოქვეყნებულ კაპიტალურ ნაშრომში წერდა, რომ გამუდმებული სისხლიანი თავდასხმების შედეგად „მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკოფიაში (ახალი ათონი-ჯ. გ.) გადაეტანათ, ახლა მდ. ღალიძგამდე დაიხიეს და ეს ბედკრული ქვეყანა ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა“[24]. როდესაც რუსი ელჩები სამეგრელოს სტუმრობდნენ, სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო სოხუმში და მის ჩრდილო-დასავლეთით. ამან განაპირობა მათი მოგზაურობის მარშრუტიც - დრანდიდან და ფშაფიდან უკან მობრუნება.

ვ. ტატიშჩევისა და დიუბუა დე მონპერეს მსგავსი მოსაზრებები ბევრად უფრო ადრე გამოთქმული აქვთ XVI საუკუნის გერმანელ დიპლომატს ს. გერბერშტეინს („Записки о Московии“), XVII საუკუნის მისიონერს არქანჯელო ლამბერტის, გვიანდელი პერიოდის გერმანელ მეცნიერს ჰაინრიხ იულიუს კლაპროთს (1783-1835), XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე აფხაზეთის მკვიდრ რუს ისტორიკოსს ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვს და სხვა მრავალ ავტორს[25].

რუსი ელჩების მასალები და სხვა წყაროები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორია საქართველოს ისტორიული რეგიონია, სადაც ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. მისიონერი იეზუიტთა ორდენიდან ლუი დე გრანჟე 1615 წლის 2 მარტს დაწერილ რელაციაში სოფელ მოქვს, რომელიც დღეს აფხაზებითაა დასახლებული, მეგრულ სოფელს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ იმ მხარეში წარმატებული სამისიონერო საქმიანობისათვის აუცილებელია მეგრული და ქართული ენის ცოდნა[26]. ცხადია, მოქვში და მის შემოგარენში ანუ თანამედროვე აფხაზეთში XVII საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, შემორჩენილია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI-XVII საუკუნეების საეკლესიო საბუთები, რომლებშიც ასობით საეკლესიო გლეხის სახელი და გვარია მოტანილი. უკლებლივ ყველა ქართულია.[27] ასეთია რეალური ისტორია.

---

[24]Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. 1. Сухуми, 1937, с. 148.

[25] ჯემალ გამახარია. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიიდან. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.- კრებულში: თეიმურაზ მიბჩუანი - 70. თბილისი, 2008-2010, გვ.44-63.

[26]Очерки из истории Грузии. Абхазия. Тбилиси, 2009, с. 229.

[27]იქვე, გვ. 229 – 231.

დასასრულს მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ქართული ისტორიოგრაფია და ქართული სახელმწიფოც აფხაზებს მკვიდრ ერად მიიჩნევენ. მათ კონსტიტუციურად ჰქონდათ და აქვთ გარანტირებული საქართველოში თავისუფლად ცხოვრების, კანონიერი პოლიტიკური თუ კულტურული უფლებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მაგრამ გამოყოფის უფლების გარეშე, რისი ისტორიული საფუძველი, როგორც ვხედავთ, არ არსებობს. იმ შემთხვევაში თუ თანამედროვე რუსეთის სამეცნიერო და პოლიტიკური წრეები გაითვალისწინებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე - „ივერიის ქვეყანაში“ პირველად 1640 წლის თებერვალში ჩასული რუსი ელჩების მასალებს, მიმდინარე კონფლიქტი აფხაზეთში შეიძლება ისტორიოგრაფიული შემადგენელისაგან განთავისუფლდეს, რითაც შეიქმნება გარკვეული წინაპირობები მშვიდობიანი გზით მისი მოგვარებისათვის.